

მამანი-მშენი

დაიწვივით!.. მოკლე ჭიკაბით!..

მე ნუ მეკონწილებით! ყველამ
საკუთარი მკლავები დაიკაპიწეთ!



შპიკუჭტი

ზვიადის დროს ტუკნი იყო,
გადმოიქმევეს ახლა ტაკნის,
ამ უმაქნის კაცთა გროვას
სიყვარული არ აქვს საქმის,
სიყვარული მას აქვს სკამის,
და არამი, მსუყვე ლუკმის...
ერთი გლეხი რას გააძღვებს
ორმოცდაათ ტაკნი-ტუკნის?

ჩხვლუბა

ყვავია ჩხიკვის მამიდა,
ქორი - შეგარდნის ბიცილა,
სჯობს პოლიტიკურ მიწოლას
ტახტის ფეხებთან მიწოლა.

კანჩური

ყველა პარლამენტს დაამშვენებდა
შემადგენლობა ჩვენი მხეცური,
თავდაჯერება - თემურკვანტლური,
მორგებულობა - ჯონიხეცური,
გულს იმედით და რწმენით აცხებდა
მათი მტრედვიით ნაზი გურგური,
სიღარბაისლე - გოგიგულბნური,
კომპეტენცია - ბესოგუგური,
გვრძობა, ქვეყანას ყავდა პატრონი,
განწყობილება მქონდა ჯიგრული,
ვიწამე კდემი მანანძოქური,
ყოჩიბიჭობა - მერაბკიკნური,
სამაგალითო იყო ყველასთვის
ელეგანტური თავის კანტური,
შერმადინობა - ვალტერშურდული,
უანგარობა - ტარგელანტური,

და მისაბაძი იყო ნამდვილად
ნორჩების ღიქნი ვირეშმაკული,
თილიბაზობა არაკაცური
სანდრობრეგული, ცოტნებაკური.

იმ რეპორტაჟებს მიღად საქართველო
უსმენდა ალბათ სულგანაბული,
და აოცებდა სული მადალი,
ამირანკალურ - დიდარბაბული.

იმამისაგან გაბრუებულმა
ერთად მოუსვა ყველამ მხარული,
იდეა მქონდათ თემურქორული
და შემართება პეტროტალური,
და ამნაირი შარმონისთვის
იყო ნამდვილად ვერსაბამური
ნაზი პროტესტი თედობატური,
თვალთაბრიალი ვაჟადაბური.

იმ პარლამენტში რაცა ხდებოდა,
არ იკადრებდა ალბათ ჰუსარი,
გამონაკლისი იყო დემცენტრი,
ხალხი ნაფრონტალ-ნაბუპუზარი.


ალბათ თავიდან დავიბადები,
ოდეს სიმრგვალე ვნახო წაშლილი,
ამას გულწრფელად თუ არ ვამბობდე,
მე ვიყო ნუკრი მიხანაშვილი!

რამდენიმე შეგონება პოლიტიკოსთათვის

1. ციობში მოფართხალე უფრო მალე იძირება!
2. ნუ იჩქარებ აღმოჩნდე მოვლენათა ცენტრში, მორევში ცენტრი ყველაზე ცუდი აღგოლია!
3. სერფინგის მოყვარულს ტაღლის გრძნობა უნდა მქონდეს!
4. მასასთან დიალოგისას გახსოვდეს, რომ მოვარე ზოგისთვის ქალღმერთია და ზოგისთვის ნახვერტი!
5. პოლიტიკა მარათონს იმით ჰგავს, რომ დისტანციაზე ძალები სწორად უნდა გაანაწილო!
6. პოლიტიკა სროლას იმით ჰგავს, რომ გასროლამდე კარგად უნდა დაუმინწო და მცირე ხნით სუნთქვაც უნდა შეიკრა!
7. პოლიტიკა ბიატლონს იმითა ჰგავს, რომ უნდა შეგეძლოს განსაზღვრა - ზუსტი სროლა გიჯობს თუ ფინიშიზე ადრე მისვლა!
8. პოლიტიკა კრივს იმით ჰგავს, რომ ქამრის ქვეშ დარტყმისთვის მეტოქეზე მეტად დაზარალები!
9. პოლიტიკა ფეხბურთს იმით ჰგავს, რომ რაც უფრო გრაციოზულად აუფლი გვერდს მეტოქეს, მით მეტ ოვაციას დაიმსახურებ! აგრეთვე იმით ჰგავს, რომ უკანმოუხედავად წინმოსირბილე თამაშგარეში რჩება! ძირს პოლიტიკა! გაუმარჯოს ფეხბურთს!


უკომბასო მზიანეთი

1. მზე შინა და მზე გარეთა, ძრიელ გელოდი-ოოო, ზვიად ჩეჩნეთს გადასულა, ახლა შენ მოდი-ოოო!
2. მზეო, მზეო, ცხრათვალა, ვის უცინი, ვისა? ყველას არა, პატარავ, ვისაც ჩავთვლი ღირსად!
3. შენ ჩვენი მზე ხარ, ყოველ დღით ამომავალი, რა მომავალი გვემჩანება, რა მომავალი!
4. მზეო, საცა გსურს ამოდი, ნუ ეფარები ვორასა, სიცივეს კაცი მოუკლავს, ვეღარ სწერს ფუნაგორასა!
5. „გარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების, დიდა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების, უხვი ახსნილსა დაბამს“.....



ხალხს ყელში ამოუვიდა
შიშველი დეკლარაცია,
მიტინგი, დემონსტრაცია
და ბრტყელი დეკლამაცია,

თავისუფლების იდეას
დაეწყო სუბლიმაცია,
დღეს ჩვენს ნაციას სჭირდება
პოლიტიკური გრაცია!



სოციალისტური ეკონომიკა

და

დედამიწის მიწილულობის კანონი

საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საგულდაგულოდ ვაძეგრილ, გამჭვირვალე კონსერვის კოლოფებს რომ ვაგონებს კაცს და თანაც სულაც რომ არ არის მადის აღმძვრელი ამ ნახევრადნაწიშილებ-ნახევრადნაწიშილობეც განწყობაზეც კი, ვინაიდან კარგად ნასუქებ-ნაბან-ნაფერებნი ჯერ კიდევ ახერხებენ ძვირადღებნიდირებულ და ერთობაძარცვადქვემდებარე მსუბუქ-კერძო და არც-თუმსუბუქ-ნახევრადკერძო, ანუ ვითომსახელმწიფო ავტომობილებით სრიალს, უნებლიედ ათასგვარი დიალოგი ჩაითრევს ხოლმე ყურს, როგორც, თუ ვნებავთ ჭიკაბა.

რადგან ზემოთ უკვე ვახსენე ერთი საერთო ფუძის - „სურსათი“ - მქონე რამდენიმე სიტყვა: კონსერვი, მადა, შიმშილი, ნასუქი... სასურსათო პრობლემებთან დაკავშირებული ერთი დიალოგი უნდა გავიხსენო, რომლის მოქმედებებშიც, როგორც წესი, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, და უცნაური რომაა, ამაში, იმედი მაქვს, ბევრი დამეთანხმება, სუბიექტებად სილუბტირე ში ყოფნის გეტყვანებში გვევლინებიან ხოლმე, ანუ ის ხალხი, ეს ქვეყანა ვითომ მაგათი რომაა და სინამდვილეში სულ რომ არაა მაგათი:

- გახსოვს, ხოტყი რომ 2 მანეთი ღირდა და მაღაზიაში სამნაირი კარაქი რომ იყიდებოდა?

- მე ის დროც კარგად მახსოვს, 100 კვერცხს მანეთს რომ აფასებდნენ.

- კომუნისტურმა ცვლილებებმა და არ გვეცოდნა!

ახლა ამ და ამის მსგავს დიალოგებში ხმის უფლებით ჩართულ მცენიერულად რომ უმტყიცო - დღევანდელი კრიზისის გარდუვალობა ჯერ კიდევ მაშინ შეიძლება გვეგარაუდა, როცა 100 კვერცხის ღირებულება 1 მანეთით განისაზღვრებოდა, ვინაიდან ბრინჯი და სისტემათა მთავარი და ა.შ. და ა.შ. და იქვე ღვირტივით თუ დაიმოწმე <რუსეთელი არ გეგონოთ, ამერიკელია>, სოციალიზმის მწვავე კრიზისის, ანუ უკანასკნელი სტადიის დაწყებას 80-იანი წლების პირველ ნახევარში რომ ვარაუდობდა, სხვადასხვა სახის ტრავმულ დაზიანებებს თუ არა, ქუჩის ფოლკლორის ობიექტად ქცევას მაინც უნდა ელოდე და ღირსიც იქნები.

ჩემი დაკვირვებით, ტროლეიბუსულ სოციალიზმის გუნაგთა, ე.ი. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის, როგორც დგომის, თეატრში არსიარულის, წიგნის წაუკითხაობის და სხვა მსგავს საზოგადოებრივ დატვირთვებთან, აგრეთვე ტელეფონით არსარგებლობისა და სტადიის არღირის ერთობ მონატრების გეტყვანთა მიკროკამპანების ჩასაშლელად, ანუ მათთვის ნერვების ასაშლელად, როგორც თვითონ ბრძანებენ ხოლმე, მაგალითებით, ან უკიდურეს შემთხვევაში, იგაგებთ ზემოქმედებას ყველაზე შედეგიანი.

ზემოთმოყვანილ დიალოგში ჩართვისთვის ერთი მრავალნადავი მაგალითი მაქვს მარად მზადყოფნაში: მესამე საბრტულიდან გადმოგარდნილი კაცი თუ იმაზე არ იფიქრებს, რომ რამდენიმე წამში ასფალტზე დაენარცხება, ამ დანარცხებამდე, ანუ უფრო ქართულად რომ ვთქვათ - ევახივით დასკდომამდე, თავს ღდაღად ხომ იგრძნობს, ძვირფასებო?

სხვათაშორის, ჩემთათვის ერთი საყვარელი ფილმის ერთ საყვარელ პერსონაჟს დავეხსენებ ამ მაგალითს. „შესანიშნავი შეიდეულის“ ერთ-ერთი შესანიშნავი, სახელად ვინი, მოუხმობს მას ერთ კითხვაზე პასუხად და თან ვინმე-ტროლეიბუსელთან კი არა, არამედ სოფლის უხუცესთან და თანაც ბრძენთან საუბარში. განსხვავება მხოლოდ ის გახლავთ, რომ იმ შემთხვევაში საბრტულის რიგითობა საუკუნისწინანდელი ამერიკის სტანდარტების შესაბამისი იყო.

ხსენებული მაგალითი რომ უებარი არგუმენტი, ამის დასტური მსმენელზე მისი ზემოქმედების ხარისხია, ხოლო შედარება ეკონომიკურ კრიზისსა და უბარაუტოდ ასფალტისკენ მსწრაფ კაცს შორის რომ უზუსტესია, თუნდაც იქიდან სჩანს, რომ ეკონომიკის დაბლა დაწვევას კრახი ჰქვია, კაცის ასფალტზე დაწვევას კი - ზეხი!

არ მინდა ბუნებში პესიმისტ <თუნდაც ვითარების გამო გაპესიმისტებულ> მკითხველს დებრესია მიეძალოს ჩემი „წყალობით“, ამიტომ აქვე განმარტები სათვის უნდა დავძინო, რომ ეკონომიკა მინიმალურ ზღვარზე დაშვების შემდეგ, ხშირ შემთხვევაში, რეზინის ბურთის თვისებას ამჟღავნებს და აღმამზიდ ძალას ეძებს საკუთარ თავში და არ არის გამორიცხული, რომ მესამე საბრტულს ზემოდანაც გადმოგვხედოს გარკვეული დროის შემდეგ, რასაც ვერ იტყვი ადამიანებზე. თუმცა...

ამერიკის ერთმა კინოკომპანიამ გამოაცხადა კონკრსი ეპიზოდურ როლზე „მსახიობს“ მოეთხოვებოდა ორმოცდამეათე <მხოლოდ და მხოლოდ ორმოცდამეათე> საბრტულზე ფეხით ასვლა და ფანჯრიდან გადმოხტომა, რა თქმა უნდა უბარაუტოდ <ამერიკა რის ამერიკაა>. სანაცვლოდ კინოკომპანია კისრულობდა კამიკაძის ოჯახის თითოეული წევრის უზრუნველ ცხოვრებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ვინაიდან ამბავი ძველ დროში ხდებოდა, როცა გაჭირვება ამერიკისთვის არ იყო უცხო ხილი, მსურველი ბევრი აღმოჩნდა თურმე. კონკრსის პირობისამებრ, მხოლოდ ერთს „გაუღიმა ბეღმა“. ერთ „მშენიერ“ დღეს „იღბლიანი“ შეუდგა დაკისრებული როლის „თამაშს“. კიბზე ასვლის პროცესის გადაღება ფარული კამერით ხდებოდა. ბევრი რომ აღარ გაგვარძელო, - მსახიობი აღმართა ორმოცდამეათე საბრტულის ფანჯრის რაფაზე და გადაეშვა ნეონით გაჩირადღებულ უფსკრულში...

ძვირფასო მკითხველო, ამბავი აქ არ დასრულებულა. ცრემლი შეიშრე და ყურადღებით მისმინე: რამდენიმე საბრტულით ქვემოთ, დაახლოებით მეორმოცე საბრტულის გასწვრივ გაიჭიმა უშველებელი ბაღე და... კინოკომპანიის მეს-

ვეურებმა ასე დაავილოვს „ხელოვნებისთვის თავგანწირული“ თანამშრომელი „ამერიკა მაინც ამერიკაა“.

ამ უკანასკნელი მაგალითის საფუძველზე თუ შევეცდებით ვავარაგოთ შედარება დაბლა მქოლ ეკონომიკასა და დაბლა მქოლ კაცს შორის, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკამ უკვე კარგახანია ჩაუქრლა მეორმოცე, ოცდამეათე, მეოცე საბრტულს და სადღაც მეთათე - მეხუთე საბრტულის მიდამოებშია და, რაც მთავარია, არ კარგავს იმედს, რომ აუცილებლად ეღირსება თევზით ავართხალება დასავლეთის მაღლიანი ხელით გაჭიმულ ბაღეში.

მოგესხენებთ, თევზისთვის დიდი ვერაფერი სიხარულია ბაღეში ფართობი ვემახსოვრებათ, ოქროს თევზს რა ხარჯების გადაება მოუხდი პადიდან თავის დახსნის მიზნით, მაგრამ დღეს ქართველი კაცისთვის ბაღეში ან ბაღისმავგარ ინტერიერში ნებიერობა რომ ბედნიერების ტოლფასია, ამაზედაც უნდა შევთანხმდეთ, ჩემო მკითხველო.

ნიუტონ მცირე ანგი კოვპოლიტნიზოი მერვე

ს ი მ ა რ თ ლ ე

<სამწირთ სასაცილო, ანუ ტრავიკომიკური სონეტი>

არ ძალმძის ვიყო მე გულგრილი და მხოლოდ ამად მადლს ვწირავ აწმყოს, რწმენით აღვსილს მერმისის მიმართ, ფრთები შესხმია წინაპართა ზმანება-ხილვით, არს საქართველო დღეს გამრიგე თვის ბედის თავად.

მშვიდობა სუფევს კიდე-კიდე და ამის წილად არ ვიდრეკო ქედს და არგინ არ ვცხოვრებ ხარკსა თუ დაღას, ჩინი აქვს მოკლე ბოროტის მქმნელს, გზა მოკლე დაღატს, ვხარობ და აღარც მახსოვს, რანი ვიყავით წინათ.

სიმართლე! - აი, დღევანდელი ქართველის დროშა, ის ვერ ინატრებს ხვალის გრივალს, თუ წარსულ დრო-ქამს, სიმართლე! - აი, დღევანდელი ქართველის ჯიდა, ნათელი ადგას საქართველოს, ა რ ა ე რ თ მ ზ ი ა ნ ს !


...რაც ვთქვი, ყოველი მომხიბლავი არს ილუზია, ხოლო სიმართლე - რაც რამ დარჩა ნათქვამის მიღმა.

იმედა სევდამორეული

ბევრი გულით ესაღმება,
ბევრი ღიქნით, ბევრიც...ტყუის.
არ დაელო ზღვარი ზამთარს,
ქარი ზმუნის, ძაღლი ყმუნის...
პოლიტამქარს უზის კითხვა,
საჯილდაოდ უნარ - ჭკუის:
„ვიას“ გავეყარეთ, მაგრამ
ხომ არ შევეყარეთ „უის“?
საგონებელში ჩავარდნილი

გ ა მ ი ც ა ნ ა
ანგვიგრაჟა

ხონვით და ფორთხვით მებრძოლი მშვიდი,
მონარქისტული იდეის მჭიდი,
რესპუბლიკელის მანტიის მზიდი,
ზოგი რჩეულის იმედის ხიდი,
ცოტა როყით და ცოტა ფიდი,
პატარა ჭკუის კოლოდი დიდი.



ქართული კომიტიკის უთავო მხედარი

სარელაქციო ფოსტა

ჩვენი გაზეთი რუბრიკით: „ორიოდ სიტყვა მეც მათქმევინეთ, ანუ გამოდით მე ვარ, გადმით შენ“ პერიოდულად შემოგთავაზებთ მკითხველთა წერილების მი-
მოსილვას.

„კუჭკუჭელას“ მორიგი, მეშვიდე ნომრის, „ზვიანგის“ გამოსვლის შემდეგ რელაქციური უამრავი, კერძოდ სამი წერილი მოვიდა. ორ მათგანში, ე.ი. ნახ-
ევარზე მეტში, ანუ უმრავლესობაში, ავტორები გამოთქვამენ გაცვირვებას,
შეიძლება ითქვას ეჭვსაც კი იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ „ზვი“ და „ან-
გი“ სიამის ტყუილებად ერგებიან ერთმანეთს.

ორივე ავტორის მოსაზრებები, გულახდილად უნდა მოვახსენოთ, ლოგიკურადაც დასაბუთებული ერთი შეხედვით უტყუარი, წყალგაუვალი ფაქტებით. კერძოდ, პი-
რველი ავტორი გვწერს: „რანაირად შეიძლება, უმარალო ნილოსის მკვიდრი ნი-
ანგი მარლიანი ზღვის გენის, ანუ ზვიანგის ტყუილისებრი იყოს, თანაც სიამ-
ური? ეგ საკენკი, ანუ სამმანეთიანი ტყუილი, თქვენს წიწილებს. ანუ ლიფსი-
ტებს დაუყარეთ!“

მეორე წერილში ვკითხულობთ: „შეიძლება რედაქციას გამოჩნა, მაგრამ გამოცდილ მკითხველს ასე იოლად ვერ გააცურებთ. „ზვის“ და „ანგის“ ფოტოპო-
რტრეტების შედარებისას დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ „ზვის“ სიამური ქუდი ხურავს, ხოლო „ანგი“ ჰალსტუხთან გემოვნებით შეხამე-
ბულ ნაქსოვ სპორტულ ქუდას ხმარობს, რაც მთლიანად გამოირჩევა მათი ტყუილ-
ბის სიამურ ნასიათს. ეჭვს იწვევს ის ფაქტიც, რომ პირველი წვერს ატარებს თანაც ხუჭუჭს, ხოლო მეორეს არახუჭუჭი წვერი ნულზე აქვს გაპარსული. აქვე დავძენ, რომ დასაბუთებად მიმჩნია მათი ჩვეულებრივ-ტყუილობის შესაძლებ-
ლობა“. <ავტორისეული სტილი დაცულია>

სრულიად განსხვავებული გახლავთ უმცირესობაში მოხვედრილი მესამე ავტორ-
ის პოზიცია. მას მიაჩნია, რომ „ზვის“ და „ანგის“ სიამტყუილობა ეჭვს არ იწვევს. უფრო მეტიც, იგი ასახელებს მათი სხეულების საერთო <გადაბმისა>
ნაწილსაც კი - კბილებს! წერილში გამოთქმულია ვარაუდი, რომ კბილები ერთ-
ბლივი იარაღის როლს ასრულებს როგორც „ზვიანგის“ შემოქმედების მოდერნი-
ზაში, ასევე ჰონორარის რეალიზების საქმეში.

ჩვენ პრინციპულ უარს ვამბობთ კომენტარებზე, „კომენტარების მაგიერებზე“ და მკითხველისათვის წყლის გადაწურვის მცდელობის სხვა ამდაგვარ საშუალებ-
ებზე!

დასასრულ, მკითხველს, ბუნებრივი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისა და მისდამი კეთილგანწყობის გამოხატვის მიზნით, ნაწილობრივ გავაცნობთ ჩე-
ენი სიამური ურთიერთობის დამამტკიცებელ საბუთთაგან ერთ-ერთ უმთავრესს <ლექსად> : თავს უფლებას მივცემთ მხოლოდ სიამის არსის გამხელის,
„ანგის“ გვარის ფუძეში ძვეს „ზვიანგის“ ნათლობის სახელი.

ჩვენო უძვირფასესო, ანუ ძვირფასადამხდელი მკითხველო, გთხოვთ მოგვწერ-
ოთ. გარანტიას გაძლევთ, რომ თქვენი არცერთი წერილი არ დაიბეჭდება და არ დარჩება უყურადღებოდ, ან პირიქით - არ დარჩება უყურადღებოდ და არ დაიბე-
ჭდება!

ფოსტის მორიგის მოგვლემის დროებით შემსრულებელი „ა ნ გ ი“

ჩვენი მისამართია: თუ დგახართ იქ, სადაც ადრე, არცთუ კონსპირაციასა-
ვადღებულ დროში - მაინც ვერსად დაიმალებოდით, ლენინის ძველი იღვა და მზ-
ერა მერიისაკენ გაქვთ მიმართული, წახვალთ ხელმარჯვნივ, როცა გული რეჩსს გიყოფთ, ან გიზამთ <ინდივიდუალურია>, შეუხვევთ მარცხნივ, შემდეგ პირდა-
პირ და ზევით, და ბოლოს, დერეფნის სამამოთხედს რომ გაივლით, ერთი სართუ-
ლით ქვევით. დააკაკუნეთ ორჯერ.

პაროლი: „სალამი ზვიანგებს, სალამი ნიანგებს, ვინც ეძებს, მიაგებს!“

პასუხი: „მობრძანდით, ტუფლებს ნუ გაიხდით.“

მაიმუნის ნაკიანი წლის სტანსები

ხუთი „დერეფის“ სამყოფელი კომპეტენცია რა უქმად შეება... მხეცი ვისოსს მიღმაც მხეცია!

ფიდელ-კიმური იგვემება ჩეჩენთს მაშველი, დერბენდს გუშავობს მეგობარი ჩეჩელაშვილი,

ვინცბა გულდვარძლობს - რა ფუნამლოთ ჩამქრალ კერიას? დის ჩალის ფასად „კოლ-სუძუ“ და ბიუუტერია!

ურალის მიღმა ივანგებს ქვეყნის ტრაქტორი, კონსერვ-მეწარმეს ბევრი იტყვის კონსერვატორად.

ზოგიც იკითხავს - სად ფეხბურთი, სად კიდევ რომზე? დეთის გულისათვის, შობე რაღა, დარეჯან, შობე!

და რის უშიდან ხელს დაგვიქნევს ყიფად სიბიფე, კვალდაკარგული ცოტნეს გენიც მაშინ იმწიფებს.

ჩემო მკითხველო, დაწაფულო პოლიტსატირას, რა ფიქრი იყო, უცხო მოყმე რომ აატირა?

წრფელი სალამი და... მშვიდობით სახ. ფრონტის „მატორს“, უზენაესი საბჭოს ეულ რეანიმატორს.

გველის წელიწადს დაბადებული

1980

თეთრი ნიანგის ხალადა (დიაგნოზი ინტერვიუ)

ბებერი თერგის ტალღებში ნებივრობს თეთრი ნიანგი, სიამაყე და იმედი მთელი იმისი ჯილაგის.


ცისფერ ოცნებით გართული ისე ღრმად შეჰყვება ნიანგარს, <მაგანი იტყვის-ჯორია, მოგონილ ამბავს მიაგავს>, რომ ვეღარ შესძლო ბერავმა მოთოკვა ტლანქი სხეულის და ჩანჩქერის ფსკერს დაასკდა მოძმეთა ზორის რჩეული.

ასე საზარი აღმოჩნდა პოეტურ განცდათ ნაყოფი, აახლებს ბედი ოკეანს გვამს, ორ ნაწილად გაყოფილს.

მაგრამ სად იყო, სად არა, <განგებამ ასე ინება>, თავი კვლავ შეხვდა უღის ბოლოს, რაღამ დამლოდა დინება.

რქვა: ვაგაბა! შერი გულს ღრუნდა ეტყობა, სოფელს ჩვენი, ძუნწს, პასუხად ბოლოს ყრუ გმინვამ შესძრა გარემოს ბჭენი - პრორ-უწ!

მორალი: განგების მიმართ პროტესტი ყველას თავისას მიაგებს, თეთრი კოსტუმი და ლექსი რა შეგ ქვად უნდათ ნიანგებს?! ანგი <ჰალსტუხიანი ნიანგი>



ანგისეპული ფვიგრაჟები


ნორჩი მიხო გააბეზრეს დამ, დედამ და დიდებამ, საბრალო ბავშვს არ აცადეს არც თამაში, არც ჭამა. კარტებისკენ მიაღრევენ იქ არიო ჩვენი მამა, სულ „ზვიადი“-ს დაჰკვივიან აქედამ და იქედამა. ბალნის წეწვით, დაწვის ხოკვით არ იღვება ქალთა დასი, დაქლიავდა ნორჩი მიხო, მოეძალა ძლიერ ბრაზი. სხვა რომ ვერა მოიფიქრა გული იმით გაახარა, რომ იმ ძიას ხსენებაზე ერთი მბგრად გააქარა.

დღეს ბრძოლა მიდის დოღარით, რაღა დროს „ჰაუბიციბა“, ოპოზიცია შეთხედდა, შემოგვრჩა „ბუბუზიციბა“.

წრფელი მრგვალები, მე მგონი, არიან მხოლოდ ქალები, კაცები კონფორმიზმისგან არიან მინამრგვალები!

მრგვალებს უყვართ მოღერება დანისა და „აბრეზისა“, საპასუხოდ ჩემგან მისდით ნაზი შეგალი სკაბრეზისა.

„პოლიტიკური“ სუფო მრგვალები - წითლები



კლავიატის კუთხე

სადაღობო,
სავიწვიუმო

პლავიატის ყოფილ არასაბამო როლი
ვიკისრე მხოლოდ იმიტომ, რომ არ შე-
მიძლია არა ვთქვა ჩემი სათქმელი,
არადა ეს სათქმელი ჩემამდე ითქვა,
თან ზუსტად იმ სიტყვებით, მე რომ
ვბაძირებდი. თუ არ გჯერათ, მისმინ-
ეთ:

მრგვალოთ ახალი ჰიმნი
შორი გზიდან სატრფოს ველი, სხვა მო-
დის და ის კი არა, ვაა თუ გზაში
დაიღობა, სუსტი და ვერ იარა, ვაა
თუ ნახა ჩემზე კარგი და უცებ ის
შეიყვარა, ამდენი ხნის სიყვარულმა
ვაა თუ ტყვილად ჩამიარა.

იმამს
რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკ-
ბები, მე შენზე მიყვარს ოცნება ჩე-
მი, ხელუხლებელი, როგორც მზის სხი-
ვი, მიუწვდომელი, როგორც ედემი.
და თუ არა ხარ ის, ვისაც ვფიქრობ,
მე დღეს არ ვნადვლობ, დაე ვცდებო-
დე

ნუგზარ მოლოდინაში ვიღს
რამდენი ჩვენგან წასული კაცის-ვერ
გადავიხდით ვერასდროს ამავს, მაგ-
რამ ის ერთი სხვა იყო მაინც, კაცი,
რომელიც დაბრუნდა ქალაქს.....

გურამ აბსანძეს
მას ვცვრებ პატარად, ვის ჰმონებს
გული, მისთვის ვლახ განწირული....

ცოლმიწერილ დეკლარაციას
მიხარის, გიშვებ, გწუხვარ და გიმ-
ზერ, და ესრეთ მზერა მწადს სიკვდ-
ილამდე, არ გამოვფხიზლდე, რომ ად-
არ გგრძნობდე ჩემი სამშობლოს სულ-
ით დაცემას.

მთავრობის სახლს
მკვიდრად ავაშენა, ვინაც ავაშენა...

თემურ ქორიძეს
კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ღახვრი-
თა დასაჭრელად...

ჩემთვის შეკრებილ დეპუტატებს
მიხატავს ერთი პირუტყვი გორსა თუ
ახალგორსაო, თავისთვის მუტრუს იკ-
ეთებს, სხვას გაუკეთებს ჯორსაო.

ნოდარ წულუკისკირს
ვერა ჰკადრა საუბარი, მონა მეტად
შეუბარდა ...

გურამ პეტრიაშვილს
ვინც არ ღბანს სამნით ხელებს, იც-
ით როგორ მიხედვით? პირსახოცზე
ამრნევი მისი შავი თითები.

ფაფუ ზუა?

თუკი ვინმე მოგვიტყვას ყუას,
შემოვძახებთ წამსვე „ია უას“,
საქართველო ვერა სწავლობს ჭკუას,
ბუა მოკვდა - გაუმარჯოს ბუას!

ხრამუნნი

საყვარელი სტრიქონის პერიფრაზი
იღვა მიდის, იღვა მოდის,
იღვა არის სულის ჯაგარი,
საფლავში როგორ უნდა ჩახვიდე
თავისუფლების უნახავარი,
მაგრამ თუ კუჭმა შემოგრიტა,
მოსამშენია თურმე რაგარი,
მისმა ყმულიმა გაბავამტვერა
პოლიტპროგრამა ერთი მრავალი,
.....
მთავარი მაინც ხრამუნნი არის,
განსაცვიფრებლად არის მთავარი!

მთელი წელი ისე თქვლიდა,
ისე ნთქა და ისე ყლაპა,
სელიპა, ღეჭა, ძიძგა, ტლაკა,
ლუკა, ყახყლა, ხვრიპა, ხაპა,
ქვაბისაკენ გზასავალი
ღრენა-კენით გაიკაფა,
სხვა რომ არ შევიღებოდა,
ყვეთ პირიც აიქაფა,
მუქთა თხლით ნებიერამ
მოიმრგვალა კობტად ტ....,
ძაღლს კი არა, რგვალ მაგიდას
გულისხმობდა ეს არაკი.

დემავოკი იდეოლოგის
მონოლოგი

რა ვუყოთ, თუკი ვიყავი
აუგად სიტყვის მკადრები,
შენზე ნაკლებად არ მიყვარს
მე რუსთაველის ჭადრები,
არ მოვასვენებ, იცოდე,
არა მაქვს მოსახათრები,
ხანდახან - მოგეღანდები,
ხანდახან - მოგენატრები!

დროა ისე აბურღული,
დროა ისე უკულმართი,
ერი - ნამუსგაქურღული
და ხაფანგში განახლართი,
ლუბრსაბმა გაარკვიოს
ორბაგული სჯობს თუ თართი,
მე კი ახლა ისე მშობა,
გომბეშოსაც შეგსანსლიადი,
სად წაუხვალ ამ პრობლემებს,
თუ რომ არ გაუჩინარდი....
ავდგეთ ახლა და ვიძახოთ:
-მიგანქარდი! მიგანქარდი!

ზოგი გახდა ფეთიანი,
ზოგიც - ნადვად შეშლილია:
მიზეზი კი ერთი არი,
კაცს მომავლის ეშინია,
ეშინია სტუმრის მოსვლის,
ეშინია ღზინის დღისა,
უმწეოა, როგორც ბაღი,
შეუმრატდა რაკი ქისა,
ისე იყო შებოგოლი,
ისე იყო განათოკი,
ჯერაც დაბუებულია,
ჯერაც ხელის ვერგამტოკი,
ცოტა გონზე რომ მოვიდა,
გაბატოკა მხოლოდ ენა,
სათქმელი კი ვერ მოლია,
დაბუგროვდა იმოდენა,
გაინძერი! დრო მოსულა
იმოქმედო გატოკებით,
სოფელს ვერვინ ადაშენებს
მარტო ღანძღვით, მარტო ქებით,
თორემ ენას რომ შეეძლოს
ქმნას საქმენი საკუნთარი,
ყველა ქართველს ექნებოდა
პირამიდა საკუთარი.

ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა,
ნუვა ძველსა ედიკასა!

პირქუშობენ ინგუშები,
მხრებს იჩეჩენ ჩეჩენები,
ბაიყუშვი იღუშები,
უწოდ თუ შეეჩრები,
თან ოხრავენ -არ კმაროდა
ეს ოხერი ჯოხარი?
ჩვენს ფასადზე ყველა ფინთის
რატომ ვფინთ ფოხანი?

სირხა, სირმა და სხვები


ერთი საჩოთირო ტერმინისა გამო

მიგან ქალბატონებს თურმე პრეტენზია გამოუთქვამთ - „უჭკუაშვილა -
ში“ სიტყვა „სირინოზი“ რად არი ნახსენებო. ცოტა არ იყოს დავიბენი
ამ ლოგიკით ჩემს გაზეთში ტაბუ უნდა დაედოს მთელ რიგ სიტყვებს. ჩე-
მი თავი ჯანდაბას, მაგრამ რა ჰქნან თეატრებმა, აღარ დადგან „სირა-
ნო დე ბერჟერაკი“? ნუნუას მოყვარულებმა აღარ ახსენონ სირაჯი? ბატ-
ალისტებმა - მასირებული და ფორსირება? ზოლოგებმა - სირაქლემა? სი-
რის მოქალაქეებმა ველარ გაამზილონ სადაურობა? გეოგრაფებმა სირდა-
რია ამოშალონ რუკიდან? ფრანგებმა აღარ მიმართონ ერთმანეთს - სირ?
რუსებმა აღარ ჭამონ ყველი, ანუ მათებურად - სირი? მექანიკოსებმა
და ქორეოგრაფებმა რაღა ჰქნან, სისტემატურად რომ უხდებათ ისეთი ორ-
მაგად საჩოთირო სიტყვების ხსენება, როგორებიცაა ბალანსირი და სირ-
ტაკი?!

ვისაც „ვეფხისტყაოსანი“ გადაუფურცლავს, იმან კი იცის, რომ სირი
ჩიტის სინონიმი, მაგრამ სამწუხაროდ, შემოთხსენებული ქალბატონები
კლასიკაზე უკეთ უარონს იცნობენ და აღიარებენ.


ისე, იქნებ უმჯობესიც კია ამ სიტყვების სინონიმი რამ არ იც-
ის ზოგიერთმა, თორემ შეიძლება მალემალ აურიოს ერთმანეთში და მრავ-
ალი უხერხულობაც შექმნას. მაგალითად, გამოვიდეს სცენაზე და წაიკით-
ხოს ლექსი - შემოდგომის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა...
ან კიდევ, შეიღიშვინოს წაუკითხოს ზღაპარი - სირუნია სიორაო! რაო ბა-
ტონო მელაო? თუმცა მელას ჯერჯერობით ნუ შევხებებით!...

ნაღვლიანი კარადელი



რა ძნელია, საუფროსოდ რომ ხარ კაცი მონამართი,
ზვიადივი წუხდა ალბათ განდევნილი ბონაპარტი...
მით უფრო რომ მარტო იყო, მოწყენით და დაღონებით,
ჩვენს რა უჭირს, ჯოხარა ჰყავს ოქროსფერი „მაგონებით“.

რომანი რომანის წინააღმდეგ



რომანი: სეკა, „ობებე“ ჩემია! (ეს სიტყვები
გვეწყობებს ეკუთვნის თუ გოცირიძეს, ამას დრო
გვაჩვენებს).